საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავთურა

კავთურა, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში. სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 1945 მ. ერთვის მდ. მტკვარს მარჯვნიდან, სოფ. ქვემო ხანდაკთან. სიგრძე 26 კმ, აუზის ფართ. 129 კმ^2. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში. საშ. მრავალწლიური ხარჯი შესართავთან 0,96 მ^3/წმ. იყენებენ სარწყავად.

ი. აფხაზავა